დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.

### რჩევა

---

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ გარე სივრცე კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად მოწყობის შესახებ, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (მაისი 2026) და დასრულების (თებერვალი 2028) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (21 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა / აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის მოწყობას, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა - მათ შორის 4.3 კომპონენტის ინდიკატორების დაკმაყოფილების შემდეგ ეზოს/გარე სივრცის მოწყობა სრულად მოვა შესაბამისობაში კურიკულუმთან- დაწესებულება აღჭურვება საკმარისი რაოდენობის ინვენტარით ეზო/გარე სივრცე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების დირექტორი, ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ფინანსური/ადამიანური: გაერთიანების ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი (4.3 კომპონენტისთვის); გაერთიანების ადამიანური რესურსი, ბაღის ადამიანური რესურსი, მერიის ადამიანური რესურსი). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

#### 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება Nზ43.90260309. 30.01.2026) მეხუთე მუხლის თანახმად (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა): 1.ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს; 2.ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს; 3.ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს; 4.ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს; 5.საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას; 6.მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად; (დანართი #4) (დანართი #7); 7.ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

დაწესებულებამ ამავე წესის ბრძანების საფუძველზე ამავე დოკუმენტის დანართის სახით წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსების სახეობა და მინიმალური ჩამონათვალი.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (დანართი N13 - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი-ბრძანება N 843. 9026031001. 31.01.2026), აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის (დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები) მეხუთე პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში.

დაწესებულებამ მარეგულირებელი დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი- დანართი N6. ბრძანება N843.90260309. 30.01.2026) დანართის სახით წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსების სახეობა და მინიმალური ჩამონათვალი, რაც აუცილებელია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსების სახეობა და მინიმალური ჩამონათვალი მოიცავს რესურსის დასახელებას და მინიმალურ რაოდენობას.

ადგილზე ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში წარმოდგენილია ბუნებრივი და მეორადი მასალა.

ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა ბალის „ინვენტარიზაციის დოკუმენტი“ (28.02.2026); დაწესებულების წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც აღნიშნულია საბავშვო ლიტერატურის და მეთოდური ლიტერატურის ჩამონათვალი, სათამაშოების მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც დათარიღებულია 2023, 2024 და 2025 წლებში; ვერ იქნა მოძიებული საბავშვო ლიტერატურის მიღება-ჩაბარების აქტები; წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი არ არის დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში მითითებული ბავშვების რაოდენობის შესაბამისი.

ასევე, დაწესებულებას მეორე სტანდარტის 2.2.2 კომპონენტის ნაწილში გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, შესაბამისობის ტიპი-მეტწილი, იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერაში იკვეთება საკითხი „დაწესებულება არ აქვს მოთხოვნილი ბავშვთა რაოდენობის (175 აღსაზრდელი ) შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი“. შესაბამისობის გეგმის-„შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობების“ გრაფაში იკითხება: 1 - დაწესებულებას გაერთიანება მიმართავს შემდეგ საგანმანათლებლო რესურსის შექმნაზე: 175 ერთ - ფერადი ფანქრების ნაკებს, 45 ერთ-ფერადი ფურცლების ნაკებს, 175 ერთ- წებოს, 175 ერთ-საბავშვო მაკრატელს, 30 წებოვანი ფერად ქაღალდს, 175 ერთ- პლასტელინს და 90 ერთ. - ფერადი საღებავებს და ფუნჯს, 45 ერთ.- კოგნიტური ლოგიკური თამაშები , 45 ერთ- ხის კონსტრუქტორი; 2 ეტაპი- გაერთიანების მიმართვა გურჯაანის მუნიციპალიტეტს სუბსიდიის მოთხოვნის ზრდაზე მიმართვის გაგზავნა და მიღებული თანხით ბიუჯეტის ცვლილება; 3 ეტაპი - ტენდერის გამოცხადება და შექმნა. 4 მიღება- ჩაბარებით“.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**რეკომენდაცია**

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება გეგმით განსაზღვრულ ვადებში (უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსის შექმნა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით).

**რჩევა**

.....  
.....

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

---

---

### 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

#### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს; ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა წახალისოს; ხელი შეუწყოს ემოციური კომპეტენციების განვითარებას, შემოქმედებითობას, სოციალიზაციას, ჯგუფის ერთობას და ბავშვებს შორის თანამშრომლობის წახალისებას. ბავშვებს ჰქონდეთ მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადასხვა უნარის განვითარების შესაძლებლობა.

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება N843.90260309. 30.01.2026) მეშვიდე მუხლის (გარემოს ფიზიკური მოწყობა) თანახმად: დაწესებულების ფიზიკურ გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს; კურიკულუმის განხორციელების პროცესში ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად; დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბრად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფების ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, განმარტოების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. ჯგუფის ოთახში ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით ავეჯზე განთავსებულია ცენტრების ვიზუალური მინიშნებები წარწერით; განთავსებულია ასევე ვიზუალური დღის განრიგი, ჯგუფის წესები; რესურსების უმრავლესობა (ქარხნული, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი) განლაგებულია ბავშვის სიმაღლის ღია კარადებში, ნაწილი კი მოთავსებულია გამჭვირვალე კონტეინერებში, რომლებსაც აქვს ვიზუალური მინიშნებები ან წარწერები; ჯგუფებში წარმოდგენილია სივრცე ბავშვების ნამუშებრებისთვის, რომელს შესაძლებელია თავად ბავშვებმა გამოიყენონ; ჯგუფის მასალა და ავეჯი ბავშვებისთვის უსაფრთხოა.

თითოეული ჯგუფის ოთახთან არის მისაღები სივრცე მშობლებისათვის, სადაც მათთვის კედელზე განთავსებულია ასევე საინფორმაციო დაფა, მშობელთა საინფორმაციო დაფას არ აქვს მინიშნება (ვიზუალური ან შესაბამისი წარწერა);

ბაღს აქვს მუსიკალური დარბაზი, სადაც ტარდება მუსიკის აქტივობა.

გარე სივრცეში/ეზოში შესაძლებელია მხოლოდ ბურთის თამაში, ეზოში არ არის განთავსებული საქანელები, სასრიალოები, ბალანსის დაცვის სათამაშოები; დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი, არ არის გამოყოფილი სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის, სენსორული და დრამატული თამაშებისათვის.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა და გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად.

### რჩევა

სასურველია შიდა სივრცეში (ჯგუფებში) განთავსდეს მიმანიშნებლები, როგორც ჯგუფის ოთახებში ისე მშობელთა კუთხეში ( ჯგუფის გარემოში ვიზუალური დღის განრიგი, ჯგუფის წესები; მშობელთა საინფორმაციო კუთხეში ვიზუალური მინიშნება ან შესაბამისი წარწერა); გარე სივრცის მოწყობისას გათვალისწინებული იყოს შესაბამისი რესურსის განთავსება, რომელიც მნიშვნელოვანია დრამატული და სენსორული თამაშების განხორციელებისათვის (მაგ: გარე სივრცე დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად- მოძრავი თამაშების სივრცე, ბოსტანი ან ბაღი, სენსორული, დრამატული სივრცე, განთავსებული იყოს მაგიდა/ები, სკამები, საქვიშე, გადახურული შენობა.).

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულების ჯგუფისა და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (მაისი 2026) და დასრულების (თებერვალი 2028) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (21 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა / აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად. მათ შორის 4.3 კომპონენტის ინდიკატორების დაკმაყოფილების შემდეგ ეზოს/გარე სივრცის მოწყობა სრულად მოვა შესაბამისობაში კურიკულუმთან - დაწესებულება აღჭურვება საკმარისი რაოდენობის ინვენტარით ეზო/გარე სივრცე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების დირექტორი, ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ფინანსური/ადამიანური: გაერთიანების ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი (4.3 კომპონენტისთვის); გაერთიანების ადამიანური რესურსი, ბაღის ადამიანური რესურსი, მერიის ადამიანური რესურსი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავლგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას.

კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებულ მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურებოდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც ცენტრების მიხედვით არის ორგანიზებული; რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

გარე სივრცეში/ეზოში შესაძლებელია მხოლოდ ბურთის თამაში; ეზოში არ არის საქვიშე, არ დგას მაგიდა, სკამები, საჩრდილობელი, სახლი. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი, ეზოში განთავსებული საგანმანათლებლო რესურსი არასაკმარისია და არ არის ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

**რეკომენდაცია**

დაწესებულებამ კურიკულუმის შესაბამისად უზრუნველყოს გარე სივრცეში რესურსების ორგანიზება და ხელმისაწვდომობა.

**რჩევა**

---

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისად ორგანიზებისა და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (მაისი 2026) და დასრულების (თებერვალი 2028) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (21 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა / აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად. რესურსების ორგანიზება და ხელმისაწვდომობა იქნება უზრუნველყოფილი. მათ შორის 4.3 კომპონენტის ინდიკატორების დაკმაყოფილების შემდეგ ეზოს/გარე სივრცის მოწყობა სრულად მოვა შესაბამისობაში კურიკულუმთან- დაწესებულება აღჭურვება საკმარისი რაოდენობის ინვენტარით ეზო/გარე სივრცე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების დირექტორი, ბალის მენეჯერი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ფინანსური/ადამიანური: გაერთიანების ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი (4.3 კომპონენტისთვის); გაერთიანების ადამიანური რესურსი, ბალის ადამიანური რესურსი, მერიის ადამიანური რესურსი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

**3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტობის შესაძლებლობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების ჯგუფური ოთახი მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად. გარემოში წარმოდგენილია სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი ხალიჩით, ფარდით, ბალიშებითა და პუფებით, სადაც ბავშვებს განმარტოვების საშუალება ექნებათ. სივრცე იძლევა შესაძლებლობას მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობების განხორციელებისათვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის; ბაღში არის ასევე მუსიკალური დარბაზი. **ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდებს.

საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისთვის იყენებს შემდეგ მეთოდებს: ობიექტური დაკვირვებების ჩანაწერების მეთოდს (დანართი N5).

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის,

შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება N43.90260309. 30.01.2026) მერვე მუხლის (ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები) მესამე პუნქტის თანახმად შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.

ბავშვის შეფასებისა და შემაჯამებელი შეფასების ფორმები წარმოდგენილია მარეგულირებელი დოკუმენტის დანართის სახით და დამტკიცებულია ამავე წესის ბრძანებით გაერთიანების დირექტორის მიერ (ბავშვის შეფასების ფორმა; ბავშვის შესაჯამებელი შეფასების ფორმა; ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის ფორმა).

ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დაწესებულებას ასევე დამტკიცებული აქვს კურიკულუმის დამტკიცების შესახებ დოკუმენტში (დანართი N4. ბრძანება N43.902603001. 30.01.2026), აღნიშნული ბრძანების დანართში წარმოდგენილია სახელმძღვანელო „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის და სამუშაო ფორმები (ბავშვის შემაჯამებელი შეფასების ფორმა; ბავშვის ანკეტა; ბავშვის შესახებ არსებული ინფორმაციის ფორმა; გრძელვადიანი გეგმის ფორმა; ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა; განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელწიფო სტანდარტის მიხედვით; დაკვირვების ინსტრუმენტი; მიმდინარე- ყოველკვირეული გეგმის ფორმა, დღის განრიგი).

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება Nზ43.90260309. 30.01.2026) მერვე მუხლის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი.

ადგილზე ვიზიტისას საგანმანათლებლო პერსონალთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ემსახურება ბავშვების ინტერესების გამოვლენას, რასაც შემდგომში გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება Nზ43.90260309. 30.01.2026) თანახმად შეფასების პროცესი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც; ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით, ბ)გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით, გ) საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრის დროს, დ) საბავშვო ბაღის სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა  
.....  
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

#### 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება Nზ43.90260309. 30.01.2026) მერვე მუხლის (ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები) მეექვსე და მეშვიდე პუნქტების თანახმად ბავშვის შეფასებას ახორციელებს საგანმანათლებლო პერსონალი; ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლის (ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა) თანახმად კი დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას; ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია  
.....  
.....

რჩევა  
.....  
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N4 ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N43.902603001. 30.01.2026).
2. დანართი N5 - კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (ბრძანება N843. 90260297. 29.01.2026).
3. დანართი N7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (N7; ბრძანება N843.90260307. 30/01.2026).
4. დანართი N 7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (დანართი N 7. ბრძანება N 843.90260352. 04.02.2026),
5. დანართი N 7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ქ.გურჯაანის #4 ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 843.90260352. 04.02.2026),
6. დანართი N13 - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი-ბრძანება N 843. 9026031001. 31.01.2026)
7. ინვენტარიზაციის დოკუმენტი (28.02.2026);
8. სათამაშოების მიღება-ჩაბარების აქტი (2023–2024–2025 წელი
9. დაწესებულების წიგნების აღრიცხვის ჟურნალი
10. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა და გარე სივრცის ამსახველი ფოტოები).
11. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
<b>2.2. კურიკულუმის განხორციელება</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო

პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება N843.90260309. 30.01.2026) მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება) თანახმად, დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს; ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს/ასპექტებს/კომპონენტებს: ა) პროცესის დაგეგმვა; ბ) განხორციელებული აქტივობები; გ) რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობა; დ) ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება; ე) ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი; ვ) გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება); ზ) აღმზრდელის სტრატეგიები. პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე.

მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად წელიწადში ერთხელ ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ, შეფასების გუნდი განისაზღვრება ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## **2. დაწესებულება ანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება N843.90260309.

30.01.2026) მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომში განვითარება) მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების თანახმად ანალიზის პროცესში გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება ანგარიშში, რომელსაც ამზადებს შეფასების გუნდი; ანგარიში მოიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სიტუაციის აღწერას, გამოწვევებს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და რეკომენდაციებს; ანალიზის შედეგების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური (გეგმების ფორმებთან, სტრუქტურასთან, შეფასების ინსტრუმენტების ფორმებთან, პორტფოლიოს წარმოების სახის შეცვლასთან), ისე შინაარსობრივი (აქტივობების შინაარსის შეცვლასთან, შეფასების ინსტრუმენტების შეცვლასთან და სხვ.) ცვლილება.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში, რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

.....  
.....

#### რჩევა

.....  
.....

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დანართი N4 ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N43.902603001. 30.01.2026).
2. დანართი N7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (N7; ბრძანება N843.90260307. 30/01.2026).
3. დანართი N 7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ქ.გურჯაანის #4 საბავშვო ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N8 43.90260352. 04.02.2026),
4. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
<b>2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

### 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

#### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

##### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

##### 1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7; ბრძანება N843.90260307. 30/01.2026), აღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა; ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა; გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა; დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების გადანაწილება; ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა; ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

აღნიშნული წესის მიხედვით, შეიმუშავებს საკომუნიკაციო გეგმას, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ღონისძიებების/აქტივობების დასახელება, სამიზნე აუდიტორია, ღონისძიების შინაარსი, აქტივობების განხორციელების პერიოდი (თვეები) და პასუხისმგებელი პირები. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული სხვადასხვა წესი, მაგალითად, კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს ბავშვის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობას.

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N843. 90260352. 04.02.2026), რომელშიც გაწერილია ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები „ხელშეკრულების გაცნობა, საკონსულტაციო საბჭოს შექმნა; რეფერირების დოკუმენტის გაცნობა, ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკაზე საუბარი; საგანმანათლებლო და შემოქმედებითი აქტივობები (თონე, ფოსტა, ტელევიზია, საჯარო სკოლა, მუსიკალური სკოლა, თეატრი, რკინიგზის სადგური, სამხატვრო სკოლა, ბიბლიოთეკა, კონტაქტური ზოოპარკი სანაყინე, სპორტკომპლექსი); საგანმანათლებლო მიზნით - ქორეოგრაფი, მხატვარი, მსახიობი, პოლიცია, ექიმი; ცნობიერების ამაღლება ინკლუზიური განათლების შესახებ; აღსაზედელთა შეფასების შედეგების გაცნობა; ტრანზიცია სახლიდან ბაღში ბაღიდან სკოლაში, შიდა და გარე სივრცეებში; ადრეული განათლების კურიკულუმის „თამაში“ გაცნობა, გაზიარება“.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



## 2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7; ბრძანება Nბ43.90260307. 30/01.2026) და ბრძანება ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (დანართი N 7. ბრძანება N ბ43.90260352. 04.02.2026), რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

დოკუმენტში მითითებულია მშობელთა ჩართულობა ბავშვების განვითარების პროცესში, შეფასების შედეგების გაცნობასა და აქტივობების დაგეგმვაში, ასევე ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან.

დაწესებულების მენეჯერთან და გაერთიანების მეთოდისტთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ აქვთ ცოდნა თემისა და მშობლების წახალისების მიზნით გამოიყენონ წინასწარ მათი ინფორმირება ღონისძიებაში ჩართვასთან დაკავშირებით, განსახორციელებელი აქტივობის დროის მოახლოებისას მშობელთა დახურულ ჯგუფებში (ე.წ.ჩატებში) განათავსებენ ინფორმაციას; წახალისების მიზნით დაწესებულების სივრცეში, თითოეულ ჯგუფთან მოწყობილ კუთხეში მშობელთათვის განთავსებულია „წინადადების ყუთი“.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....  
.....

რჩევა

.....  
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7; ბრძანება N843.90260307. 30/01.2026), აღნიშნული წესის მე-4 მუხლის თანახმად საკომუნიკაციო საშუალებებად/არხებად გამოყენებულია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) საინფორმაციო დაფები; გ) დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმები (ფეისბუქი); დ) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები (ფეისბუქ გვერდის დახურული ჯგუფი მესენჯერი).

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულების ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ჯგუფის ოთახთან, კედელზე განთავსებული მშობელთა საინფორმაციო დაფები, საინფორმაციო კუთხეში განთავსებულია „წინადადების ყუთი“.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რეკომენდაცია**

.....

.....

.....

.....

.....

.....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დანართი N4 ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N43.902603001. 30.01.2026).
2. დანართი N7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (N7; ბრძანება N843.90260307. 30/01.2026).
3. დანართი N 7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (დანართი N 7. ბრძანება N 843.90260352. 04.02.2026),
4. დანართი N 7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ქ.გურჯაანის #4 საბავშვო ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 843.90260352. 04.02.2026),
5. ინტერვიუს შედეგები
6. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა სივრცის ამსახველი ფოტოები).



შეფასება:			
<b>3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა</b>			
შესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შესაბამება <input type="checkbox"/>	არ შესაბამება <input type="checkbox"/>

### 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

#### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება №43.90260352. 04.02.2026), რომლის თანახმადაც წარმოადგენს ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ქალაქ გურჯაანის N 4 საბავშვო ბაგა-ბაღის 2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა, სადაც იკითხება მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით: „ხელშეკრულების გაცნობა, საკონსულტაციო საბჭოს შექმნა; რეფერირების დოკუმენტის გაცნობა, ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკაზე საუბარი; საგანმანათლებლო და შემოქმედებითი აქტივობები (თონე, ფოსტა, ტელევიზია, საჯარო სკოლა, მუსიკალური სკოლა, თეატრი, რკინიგზის სადგური, სამხატვრო სკოლა, ბიბლიოთეკა, კონტაქტური ზოოპარკი სანაყინე, სპორტკომპლექსი); საგანმანათლებლო მიზნით - ქორეოგრაფი, მხატვარი, მსახიობი, პოლიცია, ექიმი; ცნობიერების ამაღლება ინკლუზიური განათლების შესახებ; აღსაზრდელო შეფასების შედეგების გაცნობა; ტრანზიციის სახლიდან ბაღში ბაღიდან სკოლაში, შიდა და გარე სივრცეებში; ადრეული განათლების კურიკულუმის „თამაში“ გაცნობა, გაზიარება“.

ადგილზე ვიზიტისას აღმზრდელებმა წარმოადგინეს გრძელვადიანი (წლიური) გეგმები, სადაც საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი თემატიკის მიხედვით განსაზღვრული აქვთ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრები მათ შორის ბავშვთა უფლებების საკითხთან დაკავშირებით, თუმცა კონკრეტული თემა არ ფიქსირდება დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმის სამიზნე თემების ჩამონათვალში.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ საკომუნიკაციო გეგმაში უნდა გაითვალისწინოს/გაწეროს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ბავშვთა უფლებების საკითხი.

რჩევა



**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (მაისი 2026) და დასრულების (თებერვალი 2027) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (9 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა / აქტივობები (დაწესებულება საკომუნიკაციო გეგმაში გაითვალისწინებს/გაწერს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ბავშვთა უფლებების საკითხში), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების დირექტორი, ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ფინანსური/ადამიანური: გაერთიანების ბიუჯეტი, გაერთიანების ადამიანური რესურსი, ბაღის ადამიანური რესურსი). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება Nზ43.90260309. 30.01.2026), აღნიშნული წესის მე-2, მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს უზიარებს ბავშვზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას და შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად. აღმზრდელი მშობელს უზიარებს ბავშვის პორტფელიოში თავმოყრილ დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის შესაბამის შეფასებებს და ნამუშევრებს, რომელშიც კარგად ჩანს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარება. იღებს უკუკავშირს და ითვალისწინებს სამომავლო აქტივობებში მშობლის თანადგომას.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რეკომენდაცია**

რჩევა



.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

**3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 843.90260352. 04.02.2026), რომლის თანახმადაც წარმოადგენა ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ქალაქ გურჯაანის N4 საბავშვო ბაგა-ბაღის 2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა, აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი აქტივობაა-ვიზიტი თემში: კურიკულუმის ფარგლებში ვიზიტების დაორგანიზება თემში; სააღმზრდელო ჯგუფები ბავშვების ინტერესების შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს ვიზიტს ახლომდებარე დაწესებულებაში, თემში (თონე, ფოსტა, ტელევიზია, საჯარო სკოლა, მუსიკალური სკოლა, თეატრი, რკინიგზის სადგური, სამხატვრო სკოლა, ბიბლიოთეკა, კონტაქტური ზოოპარკი, სანაყინე, სპორტკომპლექსი). დაწესებულების მეთოდისტთან და აღმზრდელებთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ გააზრებული აქვთ გამოიყენონ თემის რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად (სკოლა, ბიბლიოთეკა და ა.შ.).  
**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია  
.....  
.....

რჩევა

სასურველია, თემში არსებული რესურსების გათვალისწინება დაიგეგმოს აღმზრდელის გრძელვადიან, წლიურ გეგმებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

**4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს**

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პროცესების შეფასებისა და ცვლილებების განხორციელების საკითხი დაწესებულებას დარეგულირებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება №43.90260309. 30.01.2026) მეთერთმეტე მუხლის შესაბამისად. აღნიშნულ მუხლის თანახმად საბავშვო ბაღში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემატური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს; ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

საბავშვო ბაღი აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ კომპონენტებს: ა) პროცესის დაგეგმვა; ბ) განხორციელებული აქტივობები; გ) რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობა; დ) ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება; ე) ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი; ვ) გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება); ზ) აღმზრდელის სტრატეგიები.

პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის უკუკავშირის საფუძველზე; მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის გაანალიზება ხდება წელიწადში ერთხელ შეფასების გუნდის მიერ; შეფასების გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში, რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

.....

### რჩევა

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N4 ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N43.902603001. 30.01.2026).
2. დანართი N5 - კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (ბრძანება N43. 90260297. 29.01.2026).
3. დანართი N7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (N7; ბრძანება N43.90260307. 30/01.2026).
4. დანართი N 7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (დანართი N 7. ბრძანება N 43.90260352. 04.02.2026),
5. დანართი N 7 ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ქალაქ გურჯაანის N 4 საბავშვო ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 43.90260352. 04.02.2026).
6. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
<b>3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

**4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა<sup>4</sup>**

**4.1. პერსონალის მართვა და განვითარება**

**4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

<sup>4</sup> აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

## 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქალაქ გურჯაანის #4 საბავშვო ბაგა ბაგა-ბაღი შედის ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი დაწესებულებათა გერთიანების შემადგენლობაში, ბაღს ჰყავს პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს მის მდგრად ფუნქციონირებას, დაწესებულებაში დასაქმებულ პერსონალთა რაოდენობა და პოზიციები გაწერილია საშტატო ნუსხით, რომელსაც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტი. დაწესებულებამ წარმოადგინა ორგანოგრამა თანამშრომელთა რაოდენობის მითითებით, პერსონალის პირადი საქმეები, ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრის დოკუმენტი/სამუშაო აღწერილობა, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის #124 ბრძანებით „გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შორის სამსახურებრივი ფუნქციების გადანაწილების შესახებ“, სადაც განსაზღვრულია თითოეული თანამშრომლის ფუნქციები. დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია პერსონალის დაკომპლექტებასთან დაკავშირებული საკითხები. საშტატო ნუსხით დგინდება, რომ დაწესებულება ჰყავს შემდეგი პერსონალი – მენეჯერი, მენეჯერის თანაშემწე, უფროსი აღმზრდელი, საწყობის კორდინატორი, გაერთიანების მეთოდისტი რომელიც საგანმანათლებლო პერსონას უწევს კოორდინაციას , 6 აღმზრდელი, 6 აღმზრდელის თანაშემწე, 3 გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელი, 3 გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელის თანაშემწე, 1 მუსიკის მასწავლებელი, 1 ლოგოპედი, 2 სპეციალური პედაგოგი, 1 ექთანი, 1 მზარეული, 2 მზარეულის თანაშემწე, 2 დამხმარე ძიძა, 1 დამხმარე მუშა და 1 მეეზოვე-დარაჯი. საბავშვო ბაგა- ბაღის სამუშაო გრაფიკი განისაზღვრება 09.00-16.00 სათამდე. მშობლების მომართვისთვის საფუძველზე განსაზღვრულია გახანგრძლივებული ჯგუფის დაკომპლექტება , რომლის სამუშაო პერიოდი განისაზღვრება 16.00-18 00 საათამდე რა დროსაც საბავშვო ბაგა- ბაღში დარჩებიან მხოლოდ გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელები. ბაღის სამუშაო დროების მარეგულირებელი დოკუმენტი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა . მხოლოდ წარმოადგინა 2024 წლის 18 სექტემბრის #ბ43.90242623 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომლების სამუშაო დროის (სათობრივი დატვირთვის ) განსაზღვრის თაობაზე . წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებული თანამშრომლების სამუშაო და დასვენების დროები.პერსონალი დაკომპლექტებულია იმგარად, რომ სასწავლო სააღმზრდელო პროცესში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო მეთოდოლოგია (პასუხისმგებელი პირი - უფროსი აღმზრდელი), დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები (პასუხისმგებელი პირი - ექთანი) კონტროლდება საკვები პროდუქტის ხარისხი და ნორმები, დაცულია საქმისწარმოების ნორმები, ადგილზე ინახება პერსონალის (პასუხისმგებელი პირი-მენეჯერი) პირადი საქმეები, დაწესებულება უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი განათლების მიწოდებას ყველა ბავშვისთვის (პასუხისმგებელი პირი - სპეც. მასწავლებელი).ბაგა- ბაღს არ ჰყავს დამლაგებელი საშტატო განრიგისა და ორგანოგრამის მიხედვით და დამლაგებლის მოვალეობას ასრულებენ დამხმარე მუშა და დამხმარე ძიძა. ფუნქცია მოვალეობების შეთავსების დოკუმენტი ბაღმა ვერ წარმოადგინა . მათზე პასუხისმგებელი პირი არის ექთანი, თუმცა ორგანოგრამის მიხედვით დამხმარე ძიძა

და დამხმარე მუშა ექვემდებარებიან მენეჯერის თანაშემწეს. დოკუმენტების შესწავლითა და ინტერვიუებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის პერსონალი, კერძოდ არ არის დაცული საგანმანათლებლო პერსონალის თანაფარდობა, რომელიც დადგენილია “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” მე-13 მუხლში, ასევე, არ არის დაცული დაწესებულების მიერ დამტკიცებულ “ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის” მე-4 მუხლით განსაზღვრული წესი-“აღმზრდელის რაოდენობის თანაფარდობით ბავშვთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან”, ამასთან დაწესებულებას დარეგულირებული აქვს საგანმანათლებლო პერსონალის დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის დროს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების საკითხი. აღმზრდელის რაოდენობის თანაფარდობა ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად გაწერილია შესაბამისობის გეგმაში 12 თვის ვადით.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის .**

### რეკომენდაცია

- 1.ინდიკატორის მოთხოვნიდან გამომდინარე ბაღმა უზრუნველყოს დაწესებულების პერსონალის იმგვარად დაკომპლექტება , რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და გაითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს . მოხდეს თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობის გაწერა შესაბამის დოკუმენტში.
- 2.შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულებამ მოიყვანოს შესაბამისობაში საგანმანათლებლო პერსონალის თანაფარდობა, რომელიც დადგენილია “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” მე-13 მუხლში, ასევე დაიცვას დაწესებულების მიერ დამტკიცებულ “ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის” მე-4 მუხლით განსაზღვრული წესი-“აღმზრდელის რაოდენობის თანაფარდობით ბავშვთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან”.

### რჩევა

.....

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, წინამდებარე ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერაში გამოვლენილი შეუსაბამობებზე რეაგირებისთვის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგინა 2026 წლის 16 მაისის N43-90261367 წერილზე თანდართული შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების პერსონალის იმგვარად დაკომპლექტება, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და გაითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებებს, თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობის შესაბამისი დოკუმენტის გაწერისა და აღმზრდელის რაოდენობისა და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისობაში მოყვანისათვის გაწერილია 9 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში ასახული აქტივობები.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სტრუქტურული ორგანოგრამის, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის, გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შორის სამსახურებრივი ფუნქციების გადანაწილების შესახებ დოკუმენტის და შინაგანაწესის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ განსაზღვრულია. კერძოდ:

1. სტრუქტურა-ორგანოგრამა, ასახავს თანამდებობრივ დაქვემდებარებას.
2. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 05 თებერვლის #ბ43.9026036001 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი აძლიერებს ზემოხსენებულ დასკვნას. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში არის აღნიშნული, რომ ახალ თანამშრომლებს ეცნობათ „მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ“. დოკუმენტს თან დანართების სახით თან ახლავს – თანამშრომლის პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევა, კონკურსანტის შეფასების ფორმა გასაუბრების ეტაპზე, სამუშაოს აღწერის ფორმა. აღნიშნული დოკუმენტი გაზიარებულია თანამშრომლებთან, რომელსაც ადასტურებს ოქმი #8 –2026 წლის 5 მარტი (თან ერთვის ფოტო მასალა).
3. გურჯაანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის #124 ბრძანებით დამტკიცებულია – გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შორის სამსახურებრივი ფუნქციების გადანაწილების შესახებ დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია თითოეული თანამშრომლის ფუნქციები. ფუნქციების ტექსტები არის აღწერილი და დგინდება ვინ, როდის და რას უნდა აკეთებდეს.
4. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორის მიერ 2026 წლის 11 თებერვლის #ბ.43.90260422 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების შინაგანაწესი. შინაგანაწესით – განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და შეწყვეტა, შრომითი ურთიერთობების პრინციპები, აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტაცია, დანიშნვის ბრძანების მონაცემები, დამსაქმებლის და დასაქმებულის ძირითადი ვალდებულებები, დასაქმებულის უფლებამოსილებები, მივლინება, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შესვენება და შვებულება, ანაზღაურება, წახალისება და დისციპლინარული პასუხისმგებლობა, შრომის დაცვის ზოგადი ინსტრუქციები. დოკუმენტის გაცნობა თანამშრომლებისათვის დასტურდება შეხვედრის ოქმით (ოქმით #3 2026 წლის 12 თებერვალი).
5. გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 11 თებერვლის ბ43.9026042001 ბრძანებით დამტკიცებულია – თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების დაკისრება/შეთავსების წესის წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, გარდა დამლაგებლის ფუნქცია მოვალეობის. ბაგა- ბაღს არ ჰყავს დამლაგებელი საშტატო განრიგისა და ორგანოგრამის მიხედვით და დამლაგებლის მოვალეობას ასრულებენ დამხმარე მუშა და დამხმარე ძიძა. ფუნქცია მოვალეობების შეთავსების დოკუმენტი ბაღმა ვერ წარმოადგინა .

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის .**

**რეკომენდაცია**

დაწესებულებამ წარმოადგინოს ფუნქცია-მოვალეობების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.  
რჩევა

---

---

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

დაწესებულებამ, წინამდებარე ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერაში გამოვლენილი შეუსაბამობებზე რეაგირებისთვის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგინა 2026 წლის 16 მაისის N43-90261367 წერილზე თანდართული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობის შესაბამისი დოკუმენტის შემუშავებას 9 თვიან პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში ასახული აქტივობები.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულებას დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ჩანაწერი გაკეთებული აქვს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მე-17 მუხლში. გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2018 წლის 08 იანვრის #3 დამტკიცებულია დოკუმენტი – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის თაობაზე – სადაც განსაზღვრულია დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის პროფესიული მახასიათებლებს, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესს, უწყვეტ პროფესიულ განათლებას. პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება პირადი საქმეებით.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რეკომენდაცია**

რჩევა



.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

#### 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალს გავლილი არ აქვთ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი და არ აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ თანამშრომლები სათანადოდ იცნობენ დაწესებულების “პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესის” დოკუმენტს. დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის თორმეტთვიანი გეგმა, კერძოდ, “გაერთიანება უზრუნველყოფს ფინანსური ნაწილის უზრუნველყოფით “პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ გადამზადების პერმანენტულობას”. წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება.

რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

#### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

## 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტების (ორგანოგრამა, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, შინაგანაწესი და გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შორის სამსახურებრივი ფუნქციების გადანაწილების შესახებ დოკუმენტი) ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად.

შინაგანაწესით დაწესებულება არეგულირებს შიდა წესებს და დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს მკაფიოდ გაწერილი და დამტკიცებული შიდა რეგულაციები (პერსონალის მართვის დოკუმენტი, შინაგანაწესი, სამუშაო აღწერილობები), რომლებიც, ეფუძნება და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესის შემადგენელი ნაწილებია: 1. მოქმედების სფერო; 2. შინაგანაწესის მიზნები; 3. შრომითი ურთიერთობის პრინციპები ; 4. თანამშრომელთა მიერ შინაგანაწესის შესრულება; 5. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა, თანამდებობრივი გადაადგილება; 6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები ; 7. სამსახურებრივი მივლინება, სამუშაო დრო და დასვენების დრო; 8. შევებულება; 9. შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა; 10. დასაქმებულის შრომის ანაზღაურებისა და წახალისების წესი; 11. დისციპლინური პასუხისმგებლობა; 12. შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები; 13. დავის განხილვა; 14. დასკვნითი დებულებები

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....



## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტისას განხორციელდა პირადი საქმეების და ხელშეკრულებების შესწავლა, დაწესებულებას აღმზრდელთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს მხოლოდ სამუშაო დროის საკონტაქტო საათებს და არ არის გათვალისწინებული არასაკონტაქტო საათები და მის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები. დაწესებულებამ ზემოაღნიშნული პროცესის რეგულირებისათვის წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ერთწლიანი პერიოდულობით. დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის თორმეტთვიანი გეგმა, **ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

ინდიკატორი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდირებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადის პერიოდში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების პრაქტიკების განსაზღვრისათვის იხელმძღვანელოს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი”, შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტებითა და “საქართველოს შრომის კოდექსის” მე-14 მუხლით.

### რჩევა

დაწესებულებამ პერსონალის შრომით ხელშეკრულებაში შეიტანოს დასაქმებულის პირადი მონაცემები და ინფორმაცია პერონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა. მას შემუშავებული აქვს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული ( 2026 წლის 05 თებერვლის ბ43.9026036001 ) „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (შემდგომში-„დოკუმენტი“), სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის ეტაპები. დოკუმენტის მერვე მუხლის („კადრების მოზიდვა და შერჩევა“) თანახმად:

1. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

1.1. ობიექტურობა – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;

1.2. გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

2. პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას.

3. დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას.

პერსონალის დასაქმება ხორციელდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-10 მუხლის საფუძველზე ღია კონკურსით, სადაც ჩამოყალიბებულია კონკურსის ჩატარების ეტაპები, ხოლო მე-16 მუხლის მიხედვით პირდაპირი დანიშვნის გზით. გაერთიანების დირექტორის გადაწყვეტილებით, პირი შესაძლებელია დაინიშნოს ვაკანტურ თანამდებობაზე მერთან შეთანხმებით.

პერსონალის შერჩევის დროს დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობას.

ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე, კანდიდატთან ტარდება გასაუბრება. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ში განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება, შერჩევის/დანიშვნის პროცეს(ებ)ის ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

გაერთიანების ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ “ვაკანსიის საჯაროდ გამოქვეყნება შემუშავებული დოკუმენტის შესაბამისად არ განხორციელბულა დაწესებულებაში.

კანონმდებლობის შესაბამისი კადრების შერჩევისა და უზრუნველსაყოფად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა ერთ წლიანი პერიოდულობით, სადაც გაწერილია კადრების შერჩევა კონკურსის წესით.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებელია.**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ საქმიანობის წარმართვისას უნდა იხელმძღვანელოს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მიხედვით, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. აღნიშნული პროცესი გაწერილია პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია: ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა; ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან; მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა; საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა; პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება; მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში; უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში განხორციელებული ორდღიანი ვიზიტი დაგანხორციელებული ინტერვიუები ნათლად გამოკვეთს საბავშვო ბაღში არსებულ თანამშრომლობით კულტურასა და გუნდურ სამუშაო გარემოს. თანამშრომლობითი ურთიერთობები ურთიერთპატივისცემასა და გუნდურობას ეყრდნობა, რაც ზრდის ჩართულობას, მოტივაციასა და ეფექტიან შრომისუნარიანობას. თანამშრომლებთან განხორციელებულ ინტერვიუზე თითოეული ადასტურებს საუკეთესო პრაქტიკების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კულტურას. აღსაზრდელების ზრუნვის პროცესში კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებში ჩართულობას, სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვას, კვების უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას და ა.შ. დაწესებულების დირექტორის როლს თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებაში. **ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტის მე-4 თავის მე-19 მუხლი განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს შეფასების პრინციპებსა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს. ინტერვიუებისას გაერთიანების ხემძღვანელმა და

ბალის მენეჯერმა დაადასტურა, რომ ვინაიდან დოკუმენტი არის ახალი დამტკიცებული, პროცესის საქმიანობის განხორციელებისა და საქმიანობის შეფასები სშედეგები არ არის ამ ეტაპისთვის ხელმისაწვდომი. საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება საბავშვო ბალის მენეჯერის მიერ თანამშრომლებთან ზეპირსიტყვიერად, რომელიც თავის მხრივ აცნობს გაერთიანების ხელმძღვანელს მიღებული ნფორმაციას და შემდგომ გათვალისწინება ხდება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, სფეროების მიხედვით.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## **2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის შეფასებასა და საჭიროებათა მოკვლევას ანხორციელებს ზეპირსიტყვიერად, შესაბამისად ანალიზის შედეგები არ არის ხელმისაწვდომი და პერსონალის განვითარების გეგმა არ არის ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი. დაწესებულება/გაერთიანება პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის ანალიზის შემდეგ შეიმუშავებს პერსონალის განვითარების გეგმას. აღნიშნულის შესახებ დაწესებულების/გაერთიანების მხრიდან წარმოდგენილმა პირებმა განაცხადეს ინტერვიუების პროცესში. აღნიშნული ინდიკატორი მოცემულ ეტაპზე არ არის რელევანტური. უფლებამოსილ პირთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობა მისცემს დაწესებულებას/გაერთიანებას შესაძლებლობას პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა კვლევის ანალიზის საფუძველზე შექმნას პროფესიული განვითარების გეგმა.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია



.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. დაწესებულება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები: ტრენინგი; პროექტები; დელეგირება; თვითგანვითარება; კონსტრუქციული უკუკავშირი; სამუშაო შეხვედრები. დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში/პროფესიული განვითარების გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება: მადლობის სიგელი; ერთჯერადი ფულადი ჯილდო არაუმეტეს ერთი თვის სახელფასო სარგოსი.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ორგანოგრამა
2. პერსონალის პირადისაქმე
3. შინაგანაწესი
5. გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შორის სამსახურებრივი ფუნქციების გადანაწილების შესახებ დოკუმენტი
6. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
7. პირველადი დახმარების კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი
8. პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი
9. ქ. გურჯაანის #4 საბავშვო ბაგა-ბაღი შესაბამისობის გეგმა
10. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
<b>4.1. პერსონალის მართვა და განვითარება</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

**4.2. პროცესების მართვა**

**4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას**

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ 2026 წლის 05 თებერვლის # 843.90260362 ბრძანებით დამტკიცებულია „პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“ (შემდგომში-„ხარისხის უზრუნველყოფა“). პროცესული მიდგომების განხორციელებისათვის დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს პროცესები: იგი მოიცავს სამ მიმართულებას: მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. მმართველობით პროცესს მიეკუთვნება სტრატეგიული დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება ხდება კონკრეტული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ძირითადი პროცესებია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება (კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება; კურიკულუმის დამტკიცება; კურიკულუმის გაზიარება; კურიკულუმის განხორციელება; კურიკულუმის შეფასება; კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა; კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება; საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა; ჯგუფური ოთახის/გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა; საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება; ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდების გამოყენება; პორტფოლიოების წარმოება; საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება. სსმ ბავშვთან მუშაობის მექანიზმების განსაზღვრა; ადრეული ინტერვენციის პროგრამების, აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების და სხვა (ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე) ჩართული გარე დამხმარე სპეციალისტების ინტეგრაცია პროცესში; სსმ ბავშვების მომსახურების შეფასება და შემდგომი განვითარება ბავშვის რეგისტრაცია/ჩარიცხვა; ბავშვის გადაყვანა; ბავშვის ამორიცხვა; სარეზერვო სიების წარმოება; ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის შეფასება და შემდგომი განვითარება. კომუნიკაციის წესის შემუშავება, მისი გამართული ფუნქციონირების მონიტორინგი, შეფასება, გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება; საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის დროული დამუშავება და შეფასება; ) დამხმარე პროცესებია : დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობის უზრუნველყოფა (სტრუქტურა/ორგანოგრამა, სამუშაო აღწერილობა); ადამიანური რესურსის მოზიდვა, შერჩევა, დასაქმება და დაწესებულებიდან გასვლა; შინაგანაწესის განხორციელება და ხელშეკრულებების წარმოება; პერსონალის განვითარება (ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა, პერსონალის განვითარების გეგმის შედგენა); ადამიანური რესურსის მართვის პროცესის შეფასება და შემდგომი განვითარება. წლიური საკომუნიკაციო გეგმის შედგენა; ოფიციალური ვებგვერდის (არსებობის შემთხვევაში) და სოციალური ქსელის ადმინისტრირება. კვების მენიუს შემუშავება; კვების მენიუს უზრუნველყოფა; პერსპექტიული მენიუ და მასთან დაკავშირებული საკითხების (მენიუ-განრიგი, ჩანაცვლების ცხრილები, პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის ცხრილი, ტექნოლოგიური ბარათი/კერძების კარტოთეკა, მიკვლევადობის ჟურნალი) უზრუნველყოფა; 2-6 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი; ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვების რეგულირება; პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი; საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავება, მომზადება და სერვირება; პროცესების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება. და სხვა)

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## რეკომენდაცია



.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. უფლებამოსილი პირის მიერ 2026 წლის 05 თებერვლის # 843.90260362 ბრძანებით დამტკიცებულია „პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“ (შემდგომში- „ხარისხის უზრუნველყოფა“). დაწესებულება/გაერთიანება თვლის, რომ პროცესების მართვა არ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. ვინაიდან მას არ ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი-ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ეს უკანასკნელი შეფასებულია, როგორც შეუსაბამო და დაწესებულების მიერ შეტანილ იქნა შესაბამისობის გეგმაში. შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად საჭირო შესრულების ვადა, რომელიც განისაზღვრა 10 თვით.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ინდიკატორის დაკმაყოფილება შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში, კერძოდ დაწესებულებას ყავდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი და განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი.

.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქ.გურჯაანის #4 საბავშვო ბაგა-ბაღში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება ააიპ გურჯაანის სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანების მიერ 2025 წლის 04 სექტემბრის #ბ43.9025247001 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესით“, რომელიც ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზეა შემუშავებული, რეგისტრაციის ფორმა არის როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული. იგი არეგულირებს ბავშვის რეგისტრაციას, ჩარიცხვას და ამორიცხვას, ჯგუფების დაკომპლექტებას და დამატებითი შერეული ჯგუფების შექმნას, საქმისწარმოებისთვის დაწესებულებაში წარსადგენ საბუთების ნუსხას, განსაზღვრავს პრიორიტეტულ ჯგუფებს ჩარიცხვის დროს, სარეზერვო ჯგუფების ბაზების შექმნას. ჩარიცხვა-ამორიცხვის წესით განსაზღვრულია იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელიც მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს გაერთიანების დირექტორის სახელზე, რაც შემდგომში გახდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობა. დაწესებულებას აქვს მზაობა ბავშვთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცესების განსახორციელებლად.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აწარმოებს პერსონალის პირად საქმეების დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც პერსონალთა მართვის პროცესების დოკუმენტშია გაწერილი. დაწესებულება აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი; რეზიუმე; განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან; ნასამართლეობა, ნარკოლოგიური, ჯანმრთელობის ცნობა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა. კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები; შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები; კვალიფიკაციის ამღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები); შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი. დაცულია კონფიდენციალურობა და პირადი საქმეების შენახვაზე.

დაწესებულებას წინასწარ აქვს განსაზღვრული წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა-პერსონალის პირადი საქმეებისთვის ასევე ბავშვების პირადი საქმეებისთვისაც. ხოლო ბავშვის პირად საქმეების წარმოება მოხდება ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება იწერება შესაბამისი სკოლამდელი დაწესებულების მენეჯერის სახელზე; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; ბავშვის ჯანმრთელობის ცნობში უნდა მითითებული იყოს ასევე ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული 33 დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ; ბავშვის ფოტოსურათი 4 ცალი (3X4); ბავშვის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში; მშობლ(ებ)ის /კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი; მშობლ(ებ)ის/კანონიერი წარმომადგენლის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი; მშობლ(ებ)ის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა; მშობლ(ებ)ის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის); მშობლების განქორწინების შემთხვევაში-სასამართლოს გადაწყვეტილება/ დადგენილება ბავშვის მიმართ მშობლების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და მეორე მშობლისათვის ბავშვის მონახულების უფლების შესახებ); ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში); იძულებით გადაადგილებული პირის შესახებ დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული; შშმ და სსმ სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული შეფასება/ რეკომენდაცია ბავშვის ასაკობრივი განვითარებისა და საბავშვო ბაღში ჩართვის თაობაზე;

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პროცესების ღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი
2. სრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი
3. ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი
4. ბავშვის მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება სავალდებულო დანართით (შაბლონი)
5. პერსონალის პირადი საქმე.

შეფასება:

**4.2 პროცესების მართვა**

შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
--------------------------------------	--	---	---

**4.3. მატერიალური რესურსი**

**4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.



შეფასება:			
<b>4.3 მატერიალური რესურსი</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

#### 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

##### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
<b>4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

#### 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

##### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
<b>4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას 2026 წლის 11 თებერვლის #ბ43. 90260423 ბრძანებით აქვს დამტკიცებული პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დოკუმენტი, რომლის მიხედვით გაწერილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შემდეგი მექანიზმები: 1. პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად სტრუქტურული ერთეულებში (ბაგა-ბაღში) მოქმედებს სამედიცინო სივრცე; 2. სამედიცინო სივრცეები აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, კარადა პირველადი დახმარებისათვის საჭირო ნივთებისთვის, და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მასალები (კონტეინერი, ბამბა, ლეიკოპლასტიკი, მარლის საფენი, ეთილის სპირტი, სტერილური ბინტი, ნიღაბი სამშრიანი, ბინტი ელესტიური, შპრიცი, არასტერილური სამედიცინო მარლა, ბახილი პოლიეთილენის, ნატრიუმის ქლორიდი, ბეტადინის ხსანარი, სიცხის საზომი, სამედიცინო ხელთათმანი), რომლის ვადების კონტროლზე პასუხისმგებელია ექთანი. 3. სავალდებულოა ექთანი აწარმოებდეს დახარჯული სამედიცინო მასალების აღრიცხვას, შემუშავებულია შაბლონი 4. სავალდებულოა ექთანი და აღმზრდელი აწარმოებდეს აღსაზრდელის მიერ მიღებული სამედიცინო შემთხვევის აღრიცხვას/აღწერას, შემუშავებულია შაბლონი. 5. მედიკამენტოზური ჩარევა ხდება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში (ქრონიკული დაავადებები) ბავშვის მშობელთან შეთანხმებით, ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო დასკვნის (ფორმა 100) საფუძველზე; 6. უბედური შემთხვევის დროს ბაღში მომუშავე ყველა პირი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი მოქმედებები: დროულად მოუხმოს ბაღის ექთანს, არ გადაადგილოს დაზარალებული ექთნის მოსვლამდე გარდა იმ შემთხვევისა, როცა იქ დარჩენა სახიფათოა, აუცილებლობის შემთხვევაში პირმა რომელიც გადამზადებულია პირველადი დახმარების აღმოჩენაში გაუწიოს დაზარალებულს პირველადი გადაუდებელი დახმარება, აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს სასწრაფო დახმარება, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებისას ოპერატორს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია: ბაღის მისამართი, რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა, ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.

დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნული ინდიკატორზე თვითშეფასების დანართის ფორმად წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 11 თვის ვადით.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია



ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის შესაბამისობით განსაზღვრულ ვადაში დაწესებულებამ წარმოადგინოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგება სიტუაციების მართვის გეგმა.

რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ტერიტორიაზე არსებული მცენარეები აღრიცხული და შეფასებული არ არის კომპეტენტური პირის მიერ და შესაბამისად არ არის მათი უსაფრთხოება დადგენილი. აღნიშნული ინდიკატორზე თვითშეფასების დანართის ფორმად წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 11 თვის ვადით.  
**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ აღწეროს ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები. აღნიშნული აღწერა ჩაატაროს კომპეტენტურმა პირმა. აღწერით დაადასტუროს, რომ არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს, ხოლო საფრთხის შემთხვევაში შეიმუშაოს გაუვნებელოფის პროცედურები.

რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



**3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვით, რაც ასახულია მშობელთა ხელშეკრულებაში აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება**

**1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში შექმნილია ისეთი საგანმანათლებლო გარემო, სადაც ბავშვები იქნებიან მშვიდად, არ იღელვებენ და არ დაიძაბებიან. მრავალსაკობრივ/შერეულ ჯგუფში, კედელზე ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით, განთავსებულია პროგნოზირებადი დღის განრიგი,

რომელიც დაეხმარება ბავშვებს მიიღონ ინფორმაცია განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. აღნიშნული დაეხმარება ბავშვ(ებ)ს თავი იგრძნოს მეტად დაცულად და თავდაჯერებულად. დასურათებული დღის განრიგი უზრუნველყოფს ბავშვის რუტინული საქმიანობის ერთი სახიდან მეორეზე უშფოთველ გადასვლას. ინტერვიუების შედეგად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საშტატო ნუსხით დადგენილ პოზიციაზე მყოფმა აღმზრდელ-მასწავლებელმა, დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროცესის დაწყებისთანავე აღმზრდელ-მასწავლებელი აღმზრდელის თანამემწესთან ერთად ბავშვებს გააცნობს დასურათებულ დღის განრიგს. აღმზრდელ-მასწავლებლის განცხადებით ის მტკიცებულებისთვის დაასურთებს პროგნოზირებადი დღის განრიგის გაცნობის პროცესს და ფოტოებს შეინახავს პორტფოლიოში. დაწესებულების აღმზრდელ-მასწავლებელი აღმზრდელის თანამემწესთან ერთად იზრუნებს ბავშვთა კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე, რაც დასტურდება მათთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვთა უფლებებს და ითავისებს მის როლს ბავშვთა კეთილდღეობაზე, უსაფრთხოებაზე და სიცოცხლეზე ზრუნვის პროცესში. მათ გათავისებული აქვთ ბავშვის მიმართ არამალადობრივი მოპყრობის აუცილებლობა. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს „ბავშვთა უფლებათა კონვენციასა“ და საქართველოს კანონს „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“. შესაბამისად, მისთვის მიუღებელია ბავშვის მიმართ ძალადობრივი მეთოდების გამოყენება. დაწესებულება პასუხისმგებლობით ეკიდება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებს. მას კარგად ესმის, რომ მშობელთა ცნობიერების ამაღლება შეამცირებს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებს. სწორედ, ეს უკანასკნელი გახდა მიზეზი დაწესებულების/გაერთიანების მიერ ორგანიზებულ სწავლების პროცესში ჩართული იქნეს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.



**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 04 თებერვლის #ბ43.90260353 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ (შემდგომში - „მარეგულირებელი წესი“), აღნიშნული მარეგულირებელი წესი მოიცავს ისეთ საკითხებს როგორცაა: რეფერირება, ძალადობაზე რეაგირების საფუძვლები, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეაგირების მექანიზმი, ნაპოვნი მიტოვებული ბავშვის რეფერირება, კონფიდენციალურობისა და რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურული წესები. მარეგულირებელი წესი მოიცავს ინფორმაციას ძალადობის ნიშნების, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირების, პასუხისმგებელი პირის რეაგირების მექანიზმის, ინფორმირების წესისა და ცხელი ხაზის ნომრების შესახებ. მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს საბავშვო ბაღის ვალდებულებებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში და ის მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა; ბ) ბავშვის მდგომარეობის შეფასება; გ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირება და დ) ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობა. დაწესებულებას წესით, ასევე, განსაზღვრული აქვს ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების საფუძველი, რომელიც შედგება რამდენიმე პუნქტისგან. მარეგულირებელ წესს დანართების სახით ერთვის დანართი N-2 – „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი“ და დანართი N-4 – „სსიპ- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტოს შეტყობინება“. აღნიშნული დოკუმენტი სრულად აყალიბებს ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების წესებს.

დაწესებულებას ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის #ბ43.90260472 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.



ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

#### 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის # 243.9026037001 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვის გარემოსთან ადაპტაციისა და ტრანზიციის წესი“. დოკუმენტის მიხედვით, ტრანზიციისა და ადაპტაციის პროცესების ეტაპები:

1. სახლიდან ბაღში ადაპტაცია და ტრანზიცია
2. ყოველდღიური ადაპტაცია და ტრანზიცია ბაღში
3. ადაპტაცია და ტრანზიცია ბაღიდან სკოლაში პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საბავშვო ბაღის მენეჯერი/ უფროსი აღმზრდელი
4. ასევე განსაზღვრულია ჩართული მახრები: გაერთიანების წარმომადგენლები, ბაღის წარმომადგენლები, მშობლები, თემის წარმომადგენლები.
5. განსაზღვრულია საკვანძო პრინციპები – თანამონაწილეობა, მონაწილეების როლი და ფუნქციები, ანგარიშვალდებულება დაწესებულებაში მიმდინარე ადაპტაციის პროცესი
6. დაწესებულებაში მიმდინარე ტრანზიციისა და ადაპტაციის პროცესი (მშობლებთან შეხვედრები და ჩართულობა, პოზიტიური საუბრები, გარემოს გაცნობა, ემოციური მომზადება და სოციალური უნარების განვითარება, დამოუკიდებლობის წახალისება.)

წესი გაცნობილია აქვთ თანამშრომლებს შეხვედრაზე, რასაც ადასტურებს 2026 წლის 17 თებერვალის ოქმი #6

ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ფლობს სხვადასხვა ტიპის პერსონალურ ინფორმაციას, კერძოდ, ინფორმაციას პერსონალის, ბავშვებისა და მათი ოჯახების შესახებ (ფოტოები, ვიდეოები, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ა.შ). სტატუსის მაძიებლის მიერ ინფორმაციის გაზიარება მოხდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მას აქვს წერილობითი ნებართვა როგორც ბავშვის ფოტო-ვიდეო ჩანაწერების წარმოებაზე, ასევე, მათ სოციალურ ქსელში განთავსებაზე. დაწესებულება მომავალში დაიცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რაც გამოიკვეთა ინტერვიუების პროცესში.  
**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



1. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი სერტიფიკატი
2. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი
3. მშობელთა ხელშეკრულებები (შაბლონი)
4. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
5. დღისგანრიგი
6. ბავშვის გარემოსთან ადაპტაციისა და ტრაზიციის წესი
7. 2026 წლის 17 თებერვალის ოქმი #6
8. საბავშვო ბაგა-ბაღის შესაბამისობის გეგმა
9. ინტერვიუს შედეგები.

<b>შეფასება:</b>			
<b>4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

#### 4.7. ფინანსური რესურსი

##### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

##### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გააჩნია ფინანსური რესურსი ბიუჯეტის სახით. დაწესებულება ყოველწლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი ამოცანებისა და აქტივობების განხორციელების უზრუნველსაყოფად ახორციელებს ბიუჯეტის ფინანსურ დაგეგმვას. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების ეფექტურად განხორციელებას. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ. სისტემა). წლის ბოლოს ხდება გაერთიანების დირექტორის მიერ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურში წლიური ანგარიშის წარდგენა. წლის განმავლობაში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა როგორც ბიუჯეტში, ასევე შესყიდვების გეგმაში. აღნიშნული, დაწესებულებას ეხმარება რესურსების



ეფექტიანად გამოყენებაში და მთელი წლის განმავლობაში დაგეგმილი მიზნების განსაზღვრულ დროში მიღწევაში. ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები. შრომის ანაზრაურება, კვების ხარჯები, ოფისის ხარჯები და საგანმანათლებლო რესურსის ხარჯები. **ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა უზრუნველყოფილია ბიუჯეტის ფინანსური რესურსით. პროცესის მიმდინარეობა გულისხმობს ბავშთა რაოდენობის გათვალისწინებით საჭირო რესურსების შეძენისა და განახლების ეტაპს. კურიკულუმის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების რესურსებით უზრუნველყოფა ხორციელდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი-6-ის შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემით-მოთხოვნის საფუძველზე რესურსების ერთიანი ბაზის ფორმირება ბაღების მიხედვით, შესყიდვების შესახებ მოთხოვნის გადაცემა შესყიდვების სპეციალისტთან. სააღმზრდელო ცენტრში იქმნება კომისია, ტარდება ბაზრის კვლევა რის შემდეგაც ხდება შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების მიხედვით შერჩევა-შეფასება, რომელიც დასტურდება შესყიდვის დოკუმენტით.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია



.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტი ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს, სადაც ქვეპუნქტის სახით გათვალისწინებულია სკოლამდელი აღზრდის განვითარებისთვის ფინანსური რესურსი, რომელიც გულისხმობს არსებული ბიუჯეტის დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს რაც დასტურდება გაერთიანების წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშით.

**ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



- 1.სამოქმედო გეგმა
- 2.ბიუჯეტი
- 3.გაერთიანების წლიური ანგარიში
- 4.ინვენტარიზაციის დოკუმენტი
5. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
<b>4.7 ფინანსური რესურსი</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

### ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. სავალდებულო დანართის დასახელება	
ვიზიტის დღის წესრიგი	
4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
დანართის N	2. სხვა დანართის დასახელება
1	
2	
3	

თარიღი

27/05/2026წ



ხელმოწერი  
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე  
ხარისხის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები  
კურიკულუმის ექსპერტი:

კვების დარგში ექსპერტი:

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:

სახელი გვარი

თეა სხირტლაძე

სოფიო გოცირიძე

ნინო მელიქიძე

ლალი ალადაშვილი

ხელმოწერა

<b>4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი</b>	
საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ქალაქ გურჯაანის #4 სახაფხვი ზაგა-ზადი	ბრძანების №: <b>MS 9 26 0000241847 2026 წლის 27 თებერვალი</b>
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გურჯაანი, ქუჩა რუსთველი, N10	ვიზიტის თარიღი: <b>2026 წლის 18-19 მარტი</b>

**კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ზაგთა რაოდენობას**

N	ინდიკატორი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები
1	დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ზაგთა რაოდენობის გათვალისწინებით					<p>1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. დირექტორის მიერ 2026 წლის 31 იანვრის N -B43. 9026031001 ბრძანებით დამტკიცებული 'ზაგთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი' 3. ინტერვიუების შედეგები. 5. დაწესებულების ცხობ, ტერიტორიისა და შენობის ვიზუალური დათვალიერებით მიღებული ინფორმაცია. 7. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების გაერთიანების მიერ 2025 წლის 16 დეკემბრის N 843.9023502 ბრძანებით დამტკიცებული საინვესტიციური კომისია. 8. 2026 წლის 31 იანვრის N 843. 9026031001 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ინვესტიციის 2026 წლის 23 იანვრის აქტი. 9. მიმართვა შესაბამის ორგანოს სახანაწრო უსაფრთხოების შესახებ</p> <p>2. გურჯაანის გაერთიანების 4. ვიზიტის შედეგად მიღებული ფოტომასალა. 6. მიღება-ჩაბარების აქტები N 843.9023502 ბრძანებით</p>
2	დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	□	□	☑	□	
3	დაწესებულებაზე შემუშავებული აქტის ზაგთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს					

**შესაბამისობის კითხვარი**

N	შეფასების ინდიკატორი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა	რეკომენდაცია	რჩევა	არეკომენტირებული პოზიციის გაზიარება
<b>1 დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ზაგთა რაოდენობის გათვალისწინებით;</b>									
